გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 106

2024 წლის 12 ივლისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების სს „სილქნეტისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 14 მარტს (N 10/202407430-20 და 10/202407428-20) შემოსულია სს „სილქნეტის“ (ს/ნ 204566978) წერილები, რომელშიც 5 წლის ვადით მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და სს ,,სილქნეტს'' შორის 2022 წლის 14 ივნისს და 2022 წლის 11 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებების გაგრძელება, რომელის საგანს წარმოადგენს ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილზე, 66.00.803 საკადასტრო კოდზე არსებული 7 ერთეული გარე განათების ბოძი და ქ. გორში, გორიჯვრის ქუჩა N26 - ის მიმდებარედ 66.00.812 საკადასტრო კოდზე არსებული 1 ერთეული გარე განათების ბოძი, შემდგომში ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების განთავსების მიზნით.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის'' მიერ 2024 წლის 17 ივნისის N208-ქ გარე განათების კონსტრუქციების (გარე განათების ბოძები - ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების მიზნით) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, ქ.გორში, 66.00.803 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 7 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 180,00 (ასოთხმოცი) ლარით;

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის'' მიერ 2024 წლის 17 ივნისის N209-ქ გარე განათების კონსტრუქციების (გარე განათების ბოძები - ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების მიზნით) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, ქ.გორში, 66.00.812 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 1 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 26,00 (ოცდაექვსი) ლარით;

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული გარე განათების ბოძების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება და მათი დროებითი სარგებლობის უფლებით გაცემა ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოაღნიშნული ქონების, სს „სილქნეტისთვის" (ს/ნ 204566978) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ წლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" და „დ.დ" ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, ს/კ 66.00.803 ქონებიდან 7 (შვიდი) ერთეული გარე განათების ბოძი (მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ) და ს/კ 66.00.812 ქონებიდან 1 (ერთი) ერთეული გარე განათების ბოძი (მისამართი: ქ. გორი, გორიჯვრის ქუჩა N26 - ის მიმდებარედ) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ხელშეკრულებით გადასცეს სს „სილქნეტს" (ს/ნ 204566978), საკომუნიკაციო ქსელის მოწყობის მიზნით.

2. ა) ს/კ 66.00.803 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 7 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 180.00 (ასოთხმოცი) ლარით;

ბ) ს/კ 66.00.812 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 1 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 26.00 (ოცდაექვსი) ლარით;

3. წლიური საიჯარო ქირა 8 (რვა) ერთეულ გარე განათების ბოძისთვის განისაზღვროს 480 (ოთხას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

4. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლის ვადით.

5. მოიჯარეს ზემოაღნიშნული 8 (რვა) ერთეული გარე განათების ბოძი გადაეცემა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების განთავსების მიზნით.

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე